სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

14.08.2009 № 95

სამაგისტრო პროგრამებზე

ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2009/2010 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №4 "მაგისტრატურის შესახებ" და სტუ-ს ინსტრუქციის "სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ" საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს მაგისტრატურაში საფაკულტეტო მიმღები კომისიების თავმჯდომარეებს 2009 წლის 2 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით უზრუნველყონ, ფაკულტეტების მიხედვით, ჩარიცხვის მსურველთაგან განცხადებების მიღება და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება
2. დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს წარმოადგინონ სასპეციალიზაციო საგამოცდო საგნების მიხედვით საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა სწავლების დეპარტამენტში არაუგვიანეს 2009 წლის 14 სექტემბრისა
3. სასპეციალიზაციო გამოცდები ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამებზე ჩატარდეს 2009 წლის 19 სექტემბერს სტუ-ს VIII კორპუსში, კოსტავას ქ. 77, შემდეგი განრიგით:

   $10^{00}$ - $13^{00}$ საათი

   1.სამშენებლო ფაკულტეტი

   2.ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

   3.სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

   4.ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

   5.სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

   $14^{00}$ - $17^{00}$ საათი

   1.არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

   2.ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი

   3.ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

4. სასპეციალიზაციო გამოცდების შედეგები გამოცხადდეს ამა წლის 20 სექტემბერს;
- სააპელაციო განცხადებების მიღება და მათი განხილვა მოხდეს ამა წლის 20 და 21 სექტემბერს;
- სასპეციალიზაციო გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდეს ამა წლის 23 სექტემბერს;
5. ფაკულტეტების დეკანებმა საერთო სამაგისტრო გამოცდის თითოეული ნაწილისა და სასპეციალიზაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე (საკონკურსო ქულა) მოამზადონ წარდგინება სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვიხ შესახებ და ჩააბარონ სწავლების დეპარტამენტში ამა წლის 24 სექტემბერს
6. სწავლების დეპარტამენტის უფროსმა პროფ. ი.ლომიძემ მოამზადოს გამოსაცემად 2009/2010 სასწავლო წლისთვის სტუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხად რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) არაუგვიანეს ამა წლის 26 სექტემბრისა. მანვე უზრუნველყოს სასპეციალიზაციო გამოცდების შედეგების წარდგენა გამოცდების ეროვნულ ცენტრში
7. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს პროფ. ი.ლომიძეს
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

რექტორი,
პროფესორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო
დარგში, პროფესორი ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი, პროფ. ი.ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი, ბ.ბაისურაძე